
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ქეთი ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბილისი (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2005, ISBN 99940-35-63-0

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისათვის შესაფერისი სამართლებრივი ბაზის შექმნა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გახდა აქტუალური. 1995 წელს მიღებული „მეწარმეთა შესახებ კანონი“ არაერთხელ მოექცა კანონმდებლის მხედველობის არეში და მნიშვნელოვან ცვლილებებს დაექვემდებარა. თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების ადეკვატური სამეწარმეო სამართლის განვითარება სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. ხშირად სამეწარმეო სამართლის რეფორმა საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა თუ ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთათვის მაქსიმალურად ლიბერალური თამაშის წესების დანერგვის მიზნით ხორციელდებოდა. გაცხადებული მიზნის მიღწევა ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ ხორციელდებოდა, რჩებოდა უზუსტობები, მოუწესრიგებელი საკითხები, ჩნდებოდა ახალი ხარვეზები და ხელახლა იწყებოდა ახალი ცვლილებების შემუშავებისათვის მზადება.

2005 წელიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი და ორი დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი წარედგინა სამთავრობო უწყებებს განსახილველად. ერთი პროექტის ავტორი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამუშაო ჯგუფი, „ჯეპლაკის“, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მონაწილეობით; ხოლო მეორის სულისჩამდგმელი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში. ახალი ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ კანონში“ 2005 წლის 24 ივნისს შევიდა.

ამ ორ ჯგუფთან მჭიდროდ თანამშრომლობდა და მათი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო სამეწარმეო სამართლის ახალი სახელმძღვანელოს ავტორი ქეთი ქოქრაშვილი. უკანასკნელი რეფორმების განხორციელებაში ავტორის ჩართულობის მაღალი ხარისხი მკითხველისთვის ერთგვარი გარანტიაა, რომ მას არ გამოეჩება მიმდინარე რეფორმის არცერთი მნიშვნელოვანი სიახლე და შესაძლებლობა ექნება, ცალკეული დებულების წარმოშობის წინაისტორიასაც გაეცნოს. ხშირად, კონკრეტულ ინსტიტუტთან დაკავშირებით, სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია საინტერესო შედარებითსამართლებრივი ანალიზიც.

ავტორი სახელმძღვანელოს აგებს ევროპული ანალოგებისათვის დამახასიათებელი სისტემით, რომელიც ერთიან ცნებათა სისტემაში ინსტიტუტების განვითარებაზეა დამყარებული. განსაკუთრებით მისასალმებელია სტუდენტებისათვის ტესტებისა და ამოცანების დანართის სახით შეთავაზებაც, თუმცა იმავე ევროპულ სახელმძღვანელოთაგან განსხვავებით, არ ხდება ავტორისეული გარჩევის სქემის შეთავაზება.

ნიგნი შედგება 8 თავისაგან, მათ შორის უკანასკნელი თავი ეძღვნება ცალკეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ზოგად მიმოხილვას, ხოლო თითოეული მათგანისათვის საერთო საკითხები განიხილება შესაბამისი პრობლემის მომცველ თავში. ამგვარად, მკითხველს საშუალება ეძლევა, სისტემურად გაეცნოს ცალკეულ საკითხს და ისინი შედარებითსამართლებრივ კონტექსტში გაიაზროს.

პირველი თავი ეძღვნება სამენარმეო სამართლის ცნებას. ამ კონტექსტში მკითხველს შესაძლებლობა აქვს, შესაბამის დეფინიციებთან ერთად, გაეცნოს სამენარმეო სამართლის განვითარების ისტორიას, პრინციპებსა და წყაროებს. ამასთან, ავტორი საუბრობს იმ მნიშვნელოვან ელემენტებზე, რომლებიც ახასიათებს სამენარმეო საქმიანობას. კერძოდ: დეტალურად განიხილება სამენარმეო საქმიანობის მოგებაზე ორიენტირებულობა, დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა, მართლზომიერება და არაერთჯერადობა. საყურადღებოა, რომ მოცემული ნიშნები, საქართველოს „მენარმეთა შესახებ კანონის“ თანახმად, ახასიათებს მენარმედ რეგისტრირებულ ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. გერმანული სავაჭრო კოდექსის თანახმად კი, რომელიც უშვებს მენარმის არსებობას, სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიუხედავად, ეს ელემენტები განმსაზღვრელი ხდება იმის დასადგენად, არის თუ არა სამენარმეო რეესტრში ჯერ დაურეგისტრირებელი სანარმო თავისთავად ე.წ. მენარმე (*Istkaufmann*). ასეთ შემთხვევებში, ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებთან ერთად, გასათვალისწინებელია ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ფილიალების თუ წარმომადგენლობების არსებობა და ბუღალტრული მონაცემების მასშტაბები. შესაბამისად, სანარმო ან დააკმაყოფილებს მენარმის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ან ჩაითვლება ე.წ. მცირე სანარმო (*Kleingewerbe*). ეს უკანასკნელი თავისთავად შესაძლოა იყოს მენარმე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ასეთად დარეგისტრირდება სამენარმეო რეესტრში და, შესაბამისად, აირჩევს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

ზემოთ მოყვანილი ელემენტების უკეთ აღქმისათვის ნიგნში მოცემულია სქემა 2, რომელიც მარტივად და თვალსაჩინოდ წარმოადგენს სამენარმეო საქმიანობის ნიშნებს და მათ მნიშვნელობას. ამასთან, არაერთგვაროვანია სამენარმეო საქმიანობისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის ელემენტის დახასიათება: იგი, ერთი მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად განიმარტება მე-20 გვერდზე, როგორც მხოლოდ „სამართლებრივი“ დამოუკიდებლობა, ამავე დროს, სქემაში დამოუკიდებლობის ქვეშ გამოყოფილია „ქონებრივი“ და „ორგანიზაციული“ დამოუკიდებლობა.

ავტორი სამენარმეო სამართლის წყაროებს შორის ხაზგასმით და მართებულადაც გამოყოფს სავაჭრო ჩვეულებას, რომელზე მითითებაც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა, საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, მოკლე ინფორმაცია – შეიძინა თუ არა საქართველოს რეალობაში აღნიშნულმა წყარომ პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, არსებობს თუ არა საქართველოში მენარმეებს შორის საყოველთაოდ დამკვიდრებული ცალკეული ჩვეულების გამოყენების პრაქტიკა და თუ ხდებდა მათი სასამართლოს მიერ სავალდებულო ძალის მქონედ აღიარება.

ავტორი ყურადღებას უთმობს სავაჭრო სამართლის დამოუკიდებელ დარგად არსებობის საკითხს და მართებულად ემხრობა ჰოპტის მოსაზრებას სავაჭრო სამართლის ობიექტურად არსებულ, დამოუკიდებელ დარგად განხილვის თაობაზე, იმის მიუხედავად, არის თუ არა ის ცალკე კოდექსით მონესრიგებული. საქართველოს სამართლებრივ სისტემაში სავაჭრო სამართლის არსებობის საკითხი ეჭვს არ იწვევს, სავაჭრო სამართლის დამოუკიდებელი

კანონის, ე.წ. სავაჭრო კოდექსის, არარსებობის მიუხედავად. ამის დასტურია თუნდაც სავაჭროსამართლებრივი ნორმების სიუხვე სამოქალაქო კოდექსსა და მენარმეთა შესახებ კანონში.

ნიგნის მეორე თავში ავტორი საუბრობს სამენარმეო ურთიერთობის სუბიექტებზე. სამენარმეო სამართლის სუბიექტთა მოკლე დახასიათებისა და საწარმოს ცნების წარმოდგენის შემდეგ იგი განიხილავს საწარმოთა ფორმებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამენარმეო სუბიექტების ორ ჯგუფად – „პერსონალური (ამხანაგობის) და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებად“ – დაყოფა. ასეთი კლასიფიკაციის დამკვიდრება ქართულ სამენარმეო სამართალში მისასაღმებელია, ვინაიდან ის მკითხველს ეხმარება, შესაბამის ჯგუფთან ასოცირების შემდეგ უკეთ შეიცნოს ცალკეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე წარმონაქმნის არსი და მნიშვნელობა.

პერსონალურად ორგანიზებულ სამენარმეო სუბიექტებს ავტორი „ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს“ უწოდებს, რაც მკითხველისთვის, ერთი შეხედვით, დამაბნეველი შეიძლება იყოს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამხანაგობა სწორედ სამოქალაქო სამართლებრივ პირთა ისეთი გაერთიანებაა, რომელიც გერმანულ დოქტრინაში პერსონალურად ორგანიზებული სამენარმეო სუბიექტების საწყის ფორმად მოიაზრება, ნათელი ხდება, რატომ უწოდა ავტორმა პერსონალურად ორგანიზებულ სამენარმეო სუბიექტს „ამხანაგობა სამენარმეოსამართლებრივი გაგებით“. ამ ჯგუფში ავტორი აერთიანებს კომანდიტურ საზოგადოებასა და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ავტორი განიხილავს: სააქციო საზოგადოებას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივს. ნიშანდობლივია, რომ ეს უკანასკნელი, გერმანული დოქტრინის მიხედვით, კორპორაციულად ორგანიზებული სამენარმეო სუბიექტია, მაგრამ არ არის კაპიტალური ტიპის საზოგადოება.

პარტნიორებს შორის განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას და, შესაბამისად, პერსონალურ პასუხისმგებლობას, რომელზეც დაფუძნებულია პერსონალური ტიპის სამენარმეო საზოგადოებები, კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში პარტნიორთა შენატანების პრიორიტეტულობა და პარტნიორთა შეზღუდული პასუხისმგებლობა ენაცვლება.

დაუზუსტებელი რჩება საკითხი, განიხილავს თუ არა ავტორი, ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული პოზიციის მსგავსად, „მენარმეთა შესახებ კანონით“ გათვალისწინებულ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას კორპორაციულ სამენარმეო სუბიექტად. შედარებისათვის, გერმანული დოქტრინის თანახმად, სამენარმეო სუბიექტებს შორის კორპორაციულად (*koerperschaftlich*) არის ორგანიზებული: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კოოპერატივი, რომელთა საწყისი ფორმა არასამენარმეო იურიდიული პირი – კავშირი.

ამავე თავში ავტორი განიხილავს საწარმოს რეგისტრაციის საკითხებს და საუბრობს რეგისტრაციის კონსტიტუტიურ (*konstitutiv*) ანუ უფლების წარმომშობ და დეკლარაციულ (*deklaratorisch*) ანუ უფლების დამადასტურებელ ხასიათზე. ამ გამიჯვნის მნიშვნელობა თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე.

საინტერესოა ავტორის პოზიცია წინარე საზოგადოების სტატუსთან დაკავშირებით. ავტორი მიუთითებს, რომ დაფუძნების სტადიაზე მყოფ, მაგრამ ჯერ დაურეგისტრირებელ საზოგადოებათა სტატუსის საკითხს განიხილავს საქართველოს კანონმდებლობა. იქვე ავტორი განმარტავს, რომ ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ საზოგადოებაში რეგისტრაციამდე დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით წარმომშობილ ვალდებულებებზე საზოგადოების

რეგისტრაციის შემდეგ პასუხს აგებს არა საზოგადოება, არამედ საზოგადოების პარტნიორები, როგორც სოლიდარული მოვალეები. ავტორის პოზიცია მოცემულ რეგულირებასთან დაკავშირებით უცნობი რჩება. წინარე საზოგადოების სტატუსისა და პასუხისმგებლობის საკითხი ძალიან პრობლემურია პრაქტიკაში და, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დეტალურ ანალიზს უდავოდ იმსახურებს.

საწარმოს შექმნასთან დაკავშირებული სქემა 5 თვალსაჩინოდ აღწერს დაფუძნების საფეხურებს. ავტორი შემდგომში განიხილავს ფილიალების, საწარმოს სახელწოდებისა და მისი ქონების საკითხებს.

მესამე თავში *ქეთი ქოქრაშვილი* განიხილავს საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილ ორგანოებს, მათი ფორმირებისა და შერჩევის წესს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არასრულწლოვნის ემანსიპაციასთან დაკავშირებული გერმანული და ქართული გამოცდილების ავტორისეული განხილვა.

კაპიტალურ საზოგადოებებთან მიმართებით ავტორი დეტალურად აანალიზებს დირექტორსა და საწარმოს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც მართებულად არ არის განხილული როგორც ჩვეულებრივი შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ წარმოდგენილია როგორც ე.წ. სასამსახურო ხელშეკრულება. ამასთან, ეს უკანასკნელი ტერმინი, რომელსაც ავტორი სხვა ქართველ ავტორებს ესესხება, დაზუსტებას საჭიროებს. გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით, *ქეთი ქოქრაშვილი*, სავარაუდოდ, მომსახურების ხელშეკრულებას უნდა გულისხმობდეს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნარდობის ხელშეკრულებაშია ინტეგრირებული. ნათელია საქართველოს კანონმდებლობაში ხელმძღვანელ თანამდებობის პირებზე მოქმედი სპეციალური წესების შემუშავების აუცილებლობა.

სქემა 7 კარგად აღქმადია და მარტივად წარმოაჩენს საწარმოთა მართვის ორგანოებს. ავტორი წარმომადგენლობაზე საუბრისას გამოყოფს პირდაპირ და არაპირდაპირ სავაჭრო წარმომადგენლობას. ამასთან, პირდაპირ წარმომადგენლობაში იგი სამოქალაქოსამარ-თლებრივი გაგებით კლასიკურ წარმომადგენლობას გულისხმობს, არაპირდაპირში კი – შუამავლობის სხვადასხვა სახეს და დეტალურად განიხილავს თითოეულ მათგანს.

წაშრომის მესამე თავის დასკვნით ნაწილში, მე-6 ქვეთავში, ავტორი განიხილავს საწარმოს პარტნიორთა უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო საწარმოს ე.წ. შიდა და გარე პასუხისმგებლობა განხილულია მე-6 თავში.

მეოთხე თავი ეტაპობრივად განიხილავს საწარმოს შექმნას, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას. რეორგანიზაციის შესაძლო ვარიანტები წარმოდგენილია ცხრილის სახით 168-ე გვერდზე. სქემა 8 აღწერს ლიკვიდაციის მთელ პროცედურას. აღნიშნული სქემის საფუძველზე ნათლად იმიჯნება საწარმოს ლიკვიდაცია საწარმოს საბოლოო გაუქმებისაგან. კერძოდ, ლიკვიდაცია არის ის პროცესი, რომელიც სრულდება რეესტრში საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ რეგისტრაციით და, შესაბამისად, საწარმო წყვეტს არსებობას.

არანაკლებ საინტერესოა სახელმძღვანელოს მე-5 თავი, რომლსაც *ქეთი ქოქრაშვილი* უთმობს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების საკითხს. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მსჯელობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებებისა და მათ წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ბერკეტების შესახებ.

იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

სამწუხაროა, რომ ეს მსჯელობა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენციის კანონმდებლობის ანარეკლიც კი აღარ არსებობს.

დაბოლოს, *ქეთი ქოქრაშვილის* ნაშრომის სახით მკითხველს შეემატა ქართულ ენაზე დაწერილი საინტერესო სახელმძღვანელო, რითაც უდავოდ გამდიდრდა სტუდენტის ბიბლიოთეკა.

სოფიო ჩაჩავა